# ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ80.80221044**

თარიღი:**14/04/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შესახებ

---

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მესამე პუნქტის , მე-5 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. სამუშაოების შესყიდვისათვის საჭირო თანხა 3455 (სამიათასოთხასორმოცდათხუთმეტი) ლარი გაიცეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურმა განახორციელოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს არსებული წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (ქ.ცაგერი, ასათიანის ქ.#14).

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი ნემსაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5100, ქ.ცაგერი. რუსთაველის ქ.№58. ტელ.: (+995) 599 18 24 25,ელ. ფოსტა: INFO.CAGERI@GMAIL.COM
5100, RUSTAVELI STR. #58, TSAGERI,GEORGIA, TEL.: (+995) 599 18 24 25 EMAIL: INFO.CAGERI@GMAIL.COM